# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №9/გ-9

ქ. მცხეთა 24 ნოემბერი 2014 წელი

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი, შემდგომში „შემსყიდველი", წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით და მეორეს მხრივ ი/მ „ვახტანგ რთველიაშვილი", შემდგომში „მიმწოდებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

2. 2014 წლის 26 ნოემბერს სოფ. მუხრანში „ქართველობის" დღესასწაულთან დაკავშირებით გასამართი ქართული ჭიდაობაში ღია ტურნირისთვის დიპლომების, მედლების, მთავარი პრიზი „ქედილის" შესყიდვა. (CPV18530000) (CPV03322100)

## 2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1. საქონლის მიწოდების საბოლოო ვადაა 2014 წლის 26 ნოემბერი.

2.2 ხელშეკრულების ღირებულებაა 430 (ოთხასოცდაათი) ლარი, მათ შორის 250 ლარი (ქედილი), 150 ლარი-მედლები და 30 -ლარი დიპლომი.

## 3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით .

## 4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:

4.1.1 უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

4.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:

4.2.2 უზრუნველყოს თანხის სრულად წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.

## 5 მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მიმწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 საქონლის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მიმწოდებელს" არ აუნაზღაუროს საქონლის ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის და გასაწევი მომსახურების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

## 7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 8 ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებაზე, თუ ეს შეუსრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

## 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
9.2 თუ „მომწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 11. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის, კულტურის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილება, უფროსი თამაზ გრძელიშვილი.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2014 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

## 13. მხარეთა რეკვიზიტები

„მომწოდებელი"

ი/მ „ვახტანგ რთველიაშვილი"
ს/კ 31001017081
ბანკი: „ლიბერთი ბანკი"-ს
მცხეთის ფილიალი
ბ/კ LBRTGE22
ა/ა GE69LB0112193403346000
მის: მცხეთა, აღმაშენებლის №87

ი.მ

ვ. რთველიაშვილი

„შემსყიდველი"

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ს/კოდი: 236098824
ბანკი: „ლიბერთი ბანკი"-ს მცხეთის ფილიალი
ბ/კ LBRTGE22
ა/ა GE11LB0120118541380000
მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №7

მუნიციპალიტეტის გამგებელი

[illegible]